ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება №

ქ. ზუგდიდი

„03“ აგვისტო 2015 წ.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის შეთანხმების შესახებ.

წინამდებარე ხელშეკრულებით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შემდგომ „სასწავლო უნივერსიტეტად“ წოდებული, წარმოდგენილი რექტორის *თეონა ხუფენიას* სახით, და *სპს აფთიაქ „ჯულიეტა ნადარაიას“* შემდგომში „პარტნიორად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის *ჯულიეტა ნადარაიას* სახით, ვითვალისწინებთ, რა ორმხრივ ინტერესს, ვთანხმდებით ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებზე.

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „სასწავლო უნივერსიტეტი“ და „პარტნიორი“ იღებენ ვალდებულებას, შესაბამისად, ერთი მხრივ, მოამზადონ ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნით გათვალისწინებული შესაბამისი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, მეორე მხრივ, ხელი შეუწყონ სასწავლო უნივერსიტეტის **„ფარმაციის“** საბაკალავრო და **„ფარმაცევტის თანაშემწის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკული უნარ–ჩვევების მიღებაში.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „სასწავლო უნივერსიტეტი“ საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისას ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და კონკრეტულად „პარტნიორის“ მოთხოვნებს.

2.2 „პარტნიორი“ საჭირო უნარ–ჩვევების გამომუშავების მიზნით უზრუნველყოფს „სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკაზე მიღებას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

3. დამატებითი დებულებები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების განმარტებასა და შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. მხარეთა რეკვიზიტები

თეონა ხუფენია	**ჯელიეტა ნადარაია**
ა(ა)იპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი	*„ეს აფთიაქ ჯელიეტა ადარაიას“* დირექტორი
მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14.	მისამართი: ქ. ზუგდიდი, კეიდიას ქ. 40.